საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

# ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 002536

8 ოქტომბერი 2021 წ.

ქ.თბილისი.

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სამრეწველო სექტორის ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი შრომის ინსპექტორი
[redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს ლაგუნა ს/ნ 412698772
იურ: მის: ქ.ქუთაისი ნიკეას ქ. #6
ფაქტ.მის: ქ.ქუთაისი ვაჟას ქ. #21
დირექტორი: [redacted]

სახელი, გვარი, პირა[redacted] რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:
2021 წლის 27 აგვისტოს შპს „ლაგუნა" ს/ნ 412698772 ფაქტ.მის: ქ.ქუთაისი ნიკეას ქ.#6 ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირებისას შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემდეგი ფაქტები, რაც დაირღვევა:
საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"
მუხლი 6, ნაწილი 1 „ა, ბ, გ, დ" ქვეპუნქტები
მუხლი 7
მუხლი 5, მე-2 და 3-ე ნაწილები
მუხლი 5, ნაწილი 1, „ვ" ქვეპუნქტი
მუხლი 6, ნაწილი 3, „ზ" ქვეპუნქტი
მუხლი 5, ნაწილი 1 „ვ" ქვეპუნქტი
მუხლი 8 ნაწილი 1
მუხლი 6 ნაწილი 3, „ი" ქვეპუნქტი
მუხლი 5 1 ნაწილი „დ" ქვეპუნქტი
დეტალური ინფორმაცია იხილეთ თანდართულ მიმართვაში.

5. დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 23 პუნქტი 1.

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 20 (ოცი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება. (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

[illegible] [illegible], [redacted] 08. ოქტომბერი 20.21წ.

ს.ნ. [redacted]

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] /

11. სამართალდამრღვევი [redacted] /

12. მოწმე: ______ / ______ /

სახელი და გვარი / ხელმოწერა

13. დაზარალებული: ______ / ______ /

სახელი და გვარი / ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: დანართი 1 - [illegible]

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: [illegible]

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური.“
დამამზადებელი: შპს კაბადონი+
სემეკ-ს რეგისტრაციის № 11-5748

**შენიშვნა**

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

**გაფრთხილება!**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) ან/და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნების დღიდან.

*დანართი 1*

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
**სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური**
**მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144**
**ტელ: ( 032 ) 2 51 00 26**

**მ ი თ ი თ ე ბ ა №002536**

**შედგენის თარიღი 07.10.2021წ.**

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

**ობიექტის დასახელება და მისამართი:**
**შპს ლატონა ს/ნ 412698772**
**იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.ქუთაისი პუშკინის ქ., №6**
**ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.ქუთაისი გელათის ქ.N21**
**საკონტაქტო პირი:** [redacted]
**ტე**[redacted]

**დარღვევის შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები:**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N01-42/ო-ს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბერი ბრძანება №01-11/ნ საფუძველზე, ქალაქ ქუთაისში შპს ლატონა-ს ობიექტზე სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ინსპექტორების მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით და უბედური შემთხვევის მოკვლევის და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების მიზნით 2021 წლის 27 აგვისტოს განხორციელდა ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, ობიექტის დათვალიერება, ფოტო-ვიდეო გადაღება.

**ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები:**

1. ინსპექტირების პროცესში ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივცრეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი

საფრთხეების იდენტიფიცირება, გამოვლენა, რისკის სიდიდის, მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

2. ობიექტზე ვერ მოხდა შრომის უსაფრთხოების მენეჯერის იდენტიფიცირება, კომპანია ვალდებულია ჰყავდეს/მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისათვის მენეჯერი რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა.

3. ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა სწავლება-ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტი, სწავლება-ინსტრუქტაჟის დოკუმენტაციის მომზადება და მისი დასაქმებულებისთვის გაცნობა უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას.

4. ობიექტზე გამოიყენება ცომის საზრტყელებელი კუსტარული დანადგარი, რაც უნდა შეიცვალოს ქარხნულით. ზემოაღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმების დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი დამსაქმებლის მხრიდან. შესაბამისად არსებობს ტექნიკური აღჭურვილობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის საფრთხეების წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს დაშავება.

5. ობიექტზე დასაქმებულები არ იყვნენ აღჭურვილები სამუშაო სპეციფიკის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც.ფეხსაცმლით, სპეც ტანსაცმელი და ხელთათმანები (კევლარი/ჯაჭვის ხელთათმანი).

6. ობიექტზე წარმოდგენილი არ იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სააფთიაქო ყუთი.

7. ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ზედამხედველობა გაუწიოს და არ დაუშვას სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი დასაქმებულები.

8. არ ხდება სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვა. (ე.წ. საწარმოო ტრამვატიზმის აღრიცხვის ჟურნალი).

**შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების საფუძველზე გაიცა შემდეგი მითითებები:**

| N | გაცემული მითითება |
|---|---|
| 1 | საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. კერძოდ:<br>**1.** გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები;<br>**2.** გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ;<br>**3.** შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები;<br>**4.** გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების |

| | |
|---|---|
| | შესამცირებლად;<br>**5.** აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ" ქვეპუნქტები.* |
| 2 | დამსაქმებელმა დანიშნოს/მოიწვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01/25ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;<br>**საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 7.** |
| 3 | განსაზღვრეთ დასაქმებულების სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდეთ ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სამუშაო პროცედურების, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, მე-2, 3 პუნქტები.* |
| 4 | შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება. გაითვალისწინეთ, რომ ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმება უნდა განახორციელოთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან ერთად.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ა"ქვეპუნქტი.** |
| 5 | დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, ხელთათმანები. დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი ახლით.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ" ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ" ქვეპუნქტი.* |
| 6 | დასაქმებულთა რაოდენობის და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები. სამუშაო ადგილები აღჭურვეთ საკმარის რაოდენობის პირველადი სამედიცინო დახმარების სააფთიაქო ყუთით.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 8. პუნქტი 1.* |
| 7 | შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრეთ და გამოყავით პირი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს და გააკონტროლებს ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი ყველა დასაქმებულის სამუშაოზე არდაშვებას.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 3, „ი" ქვეპუნქტი.* |
| 8 | ობიექტზე აღრიცხეთ უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებები და საშიში შემთხვევები .<br>**საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5. პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი** |

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
*(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)*

**მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 20 კალენდარულ დღეს.**

**მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (შრომის ინსპექტორი) [redacted] სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted]

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:
ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.
მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

**მითითება ჩაიბარა** (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
[redacted]

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

**უფლებამოსილი პირ(ები)ი:**
[redacted]

**სამართალდამრღვევი:** [redacted]

*დანართი 1*

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
**სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური**
**მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15 ა**

**შემოწმების აქტი №002536/შ**

**შედგენის თარიღი: 16.11.2021 წ.**

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში (საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი)

**სამართალდამრღვევი:**

**ობიექტის დასახელება:** შპს ლატონა
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 412698772
**დირექტორი:** [redacted]
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ.ქუთაისი გელათის ქ. N21
**ფაქტობრივი მისამართი:** საქართველო, ქ.ქუთაისი პუშკინის ქ. N6

მითითება გაცემული იყო „შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გაცემული № 002536/ო მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

შემოწმებით დადგინდა შედეგი:
ა) მითითება შესრულდა;
ბ) მითითება არ შესრულდა;

| N | გაცემული მითითება | შედეგი | ვადა/თარიღი (ივსება დადგენილ ვადაზე/თარიღზე ადრე გამოსწორების შემთხვევაში) |
|---|---|---|---|
| 1 | საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. კერძოდ:<br>**1.** გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები;<br>**2.** გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ;<br>**3.** შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები;<br>**4.** გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად;<br>**5.** აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ" ქვეპუნქტები.* | **მითითება შესრულდა;** | **12/11/2021** |
| 2 | დამსაქმებელმა დანიშნოს/მოიწვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01/25ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;<br>**საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 7.** | **მითითება შესრულდა;** | **12/11/2021** |
| 3 | განსაზღვრეთ დასაქმებულების სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდეთ ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სამუშაო პროცედურების, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, მე-2, 3 პუნქტები.* | **მითითება შესრულდა;** | **12/11/2021** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება. გაითვალისწინეთ, რომ ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმება უნდა განახორციელოთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან ერთად.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"**<br>**მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ა"ქვეპუნქტი.** | მითითება შესრულდა; | 12/11/2021 |
| 5 | დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, ხელთათმანები. დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი ახლით.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ" ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ" ქვეპუნქტი.* | მითითება შესრულდა; | 12/11/2021 |
| 6 | დასაქმებულთა რაოდენობის და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები. სამუშაო ადგილები აღჭურვეთ საკმარის რაოდენობის პირველადი სამედიცინო დახმარების სააფთიაქო ყუთით.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 8. პუნქტი 1.* | მითითება შესრულდა; | 12/11/2021 |
| 7 | შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრეთ და გამოყავით პირი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს და გააკონტროლებს ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი ყველა დასაქმებულის სამუშაოზე არდაშვებას.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 3, „ი" ქვეპუნქტი.* | მითითება შესრულდა; | 12/11/2021 |
| 8 | ობიექტზე აღრიცხეთ უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებები და საშიში შემთხვევები .<br>**საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5. პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი** | მითითება შესრულდა; | 12/11/2021 |